

მიმოწერა სოციალური ქცევის ევოლუციის შესახებ *homo*-მდე და შემდეგ

გიგი თევზაძე

პასუხი ბ-ნ იოსებ ჟორდანიას რეცენზიას წიგნზე
„სოციალური ქცევის ევოლუცია *homo*-მდე და შემდეგ“¹

ინტერესით გავეცანი მელბურნის უნივერსიტეტელი იოსებ ჟორდანიას რეცენზიას ჩემს წიგნზე. ჩემთვის მნიშვნელოვანია იმ მეცნიერის აზრის წაკითხვა, რომელმაც საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა ადამიანის წარმოშობის პრობლემას და ამ მიმართულებით კვლევის ექსპერტია. ასევე, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა წიგნის მეთოდოლოგიის და შინაგანი ლოგიკის დადებითი შეფასებებისათვის.

იოსებ ჟორდანიას რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნები საგულისხმოა და, პრინციპში, ასახავს და ირეკლავს ადამიანის ევოლუციის თანამედროვე თეორიებში არსებულ და განვითარების სტადიაში მყოფ მიმართულებებს. ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველისთვის არ იქნება ინტერესს მოკლებული წაიკითხოს ჩემი პასუხები ჟორდანიას შენიშვნებზე.

I შენიშვნა: „როდესაც გ. თევზაძე განიხილავს ბიპედალიზმის საკითხს, იგი ყველაზე მისაღებად მიიჩნევს „წყლის მაიმუნის“ თეორიას. ამ თეორიის მიხედვით ადამიანის წინაპარი პრიმატი ცხოვრობდა წყლის პირას, და დროის დიდ ნაწილს ატარებდა ან წყლის სანაპიროზე, ან უმეტესად თხელ წყალში. ამ თეორიას ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რაც ბუნებრივია. მე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ეკოლოგიური ნიშა (წყლის ნაპირი) ალბათ ყველაზე უფრო საშიშია საცხოვრებლად იმის გამო, რომ მტაცებლების რისკი აქ განსაკუთრე-

1 იოსებ ჟორდანიას რეცენზია იხ. წინამდებარე ჟურნალის გვ.487-492

ბით დიდი. ისევე, როგორც წყლის მტაცებლები (მაგალითად, ნიანგები), ასევე ხმელეთის მტაცებლებიც (მაგალითად, ლომები) სწორედ აქ, წყლის სანაპიროსთან ეძებენ უმეტესად მსხვერპლს. ცნობილია, რომ ცხოველთათვის (მაგალითად, ანტილოპებისათვის) ყველაზე საშიში ის მომენტი, როდესაც ისინი წყლის დასაღვეად მიდიან, რადგან მათ ორივე მხრიდან ემუქრებათ საფრთხე. მინდა ვთქვა, რომ ავტორი ამ ორმხრივ საშიშროებას იხსენიებს, მაგრამ ის არ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ასე სანაპიროზე, ნახევრად წყალში არც ერთი ცხოველი არ ცხოვრობს სწორედ თავდასხმის გაძლიერებული საშიშროების გამო. წყალში ხშირად შედიან ე.წ. წყლის ფრინველები (*wading birds*), მაგრამ ფრინველებს ადვილად შეუძლიათ გაფრინდნენ საფრთხის შემთხვევაში. რაც შეეხება ასეთ „წყალში მცხოვრებ“ ცხოველებს (*wading animals*), ასეთი ცხოველები უბრალოდ არ არსებობენ. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია ბიპედალური სიარულის წარმოშობაში წყლის მაიმუნის თეორიის შეფასებისათვის.“

პასუხი: როგორც რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, ჩემს წიგნში აღნიშნულია ორმაგი საფრთხე, რომელიც წყლის პირას მცხოვრებ პრიმატს უნდა დამუქრებოდა. ვფიქრობ, რომ ჰარდი-მორგანის თეორია მართებულია, როდესაც ის ამტკიცებს, რომ სწორედ ერთ-ერთი ამ საფრთხეთაგანი, ანუ, წყლის მტაცებლებისაგან მოსალოდნელი შეტევა, იყო ორი ფაქტორის განმაპირობებელი – 1. უკანა ფეხებზე სიარულის დაწყება (იმიტომ, რომ პრიმატს ზემოდან ეყურებინა საფრთხისათვის, წყალში უფრო შორს დაენახა და შემდეგ წყლიდან ადვილად გაქცეულიყო); 2. დიდ ჯგუფებად ცხოვრება, რომელიც კარგი საშუალება იყო ადვილად გამკლავებოდნენ მტაცებლებს. რეცენზიის ქართულ ვერსიაში მოყვანილი მოსაზრება „რაც შეეხება ასეთ „წყალში მცხოვრებ“ ცხოველებს (*wading animals*), ასეთი ცხოველები უბრალოდ არ არსებობენ“, განსხვავდება ინგლისური ვერსიიდან: *here are no prey animal species living a wading life on the beach* – „არცერთი მსხვერპლი ცხოველი არ ცხოვრობს წყლის პირას“. რეცენზიის ქართული ვერსიის ეს მონაკვეთი უბრალოდ გაუგებრობაა. რაც შეეხება ინგლისურ ვერსიას: რეცენზიის ეს დებულება მიუთითებს, რომ ადამიანის წინაპარი მხოლოდ მსხვერპლი იყო (მაგ., ისეთვე, როგორც ანტილოპა, ა. შ.). თუმცა, ჩვენივე ფიზიოლოგია და სხვა პრიმატების ცხოვრების წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ადამიანის წინაპარი omnivores, ყველაფრის მჭამელი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, ადამიანის წინაპარი, წყლის პირას ცხოვრებისას, საჭმელად იმ ცხოველებსაც იყენებდა, რომლის მოპოვებაც შეეძლო წყალში. გარდა ამისა, როგორც წიგნში ვწერ, წყლის პირას ადამიანის წინაპრის ცხოვრება იმიტაც უნდა

ყოფილიყო განპირობებული, რომ ის უფრო პატარა და სუსტი იყო, ვიდრე სხვა, ტყეში მცხოვრები პრიმატები, რომლებიც მათ გამოაძევებდნენ ტყიდან საკვები და საცხოვრებელი არეალის გადაწელების პროცესში. გარდა ამისა, ის, რომ ასეთი პრიმატები აღარ არსებობენ და არცერთი პრიმატი არ ცხოვრობს წყლის პირას, უარყოფითი დასაბუთებაა იმისა, რომ ისინი ჰომოებად ევოლუციონდნენ.

II შენიშვნა: „დასანანი, რომ გ. თევზაძემ მოხსენების ღირსადაც არ ჩათვალა ბიპედალიზმის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია: შემაშინებელი პოზის თეორია. ცხოველთა მრავალი სახეობა დგება უკანა ფეხებზე იმისათვის, რომ დაპირისპირების მომენტში უფრო მაღალი გამოჩნდეს და დააშინოს მოწინააღმდეგე. ეს იდეა პირველად გამოთქვა ფრენკ ლივინგსტონმა 1962 წელს. მოგვიანებით იდეას მხარი დაუჭირა როჯერ ვესკოტმა (1967), ასევე ნინა იაბლონსკიმ და ჯორჯ ჩაპლინმა 1993 წელს. 2006 და 2011 წელს გამოცემულ წიგნებში. მე უფრო შორსაც წავედი და გამოვაცხადე, რომ ჩვენი წინაპრები არა მარტო დაპირისპირებისას იყენებდნენ აღმართულ პოზას, არამედ ისინი მუდმივად ცდილობდნენ ჰქონოდათ ზეაღმართული პოზა, რომ მალეები გამოჩენილიყვნენ და დაეშინებინათ პოტენციური მტაცებელი (ან მეტოქე). გარდა ბიპედალიზმისა, ისინი ასევე იყენებდნენ ვიზუალურ, სმენით, ოლფაქტორულ და ქცევით ელემენტებს, რომ უკეთესი შემაშინებელი ეფექტი მოეხდინათ. ამ მიდგომას შეუძლია ახსნას არა მარტო ბიპედალიზმის გაჩენა, არამედ ადამიანში ფეხების დაგრძელება, თავზე მეტრნახევრიანი ხუჭუჭა თმის ამოსვლა, ადამიანური კულტურებისათვის დამახასიათებელი სხეულის მოხატვისა და ნიღბების ტარების ტრადიციის გაჩენა, ასევე დიდი დიაპაზონის და უაღრესად ძლიერი ხმის შექმნა, ჯგუფური სინქრონული სიმღერის და ცეკვის, ასევე ნელი სიარულისა და ქვების სროლის ტრადიციების გაჩენა. ეს მოდელი გამოქვეყნებული იქნა ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის „კადმოსის“ ფურცლებზე (მე-3 ნომერი) და ქართველ მკითხველს შეეძლო მისი გაცნობა. რა თქმა უნდა, გ. თევზაძე, შესაძლოა, არ დაეთანხმოს ჩემს მიერ წამოყენებულ არგუმენტებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ „დამაშინებელი პოზის“ თეორიის მოხსენიება, რომელსაც რამოდენიმე მეცნიერი უჭერს მხარს, კარგი იქნებოდა სხვა არსებულ თეორიებს შორის“.

პასუხი: უდავოდ დასანანი გამორჩენაა, რომ წიგნში არ დავუთმე ადგილი „შემაშინებელი პოზის“ თეორიას. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ თეორიას არ ვეთანხმები (არგუმენტი მარტივია: დათვიც [და არა მარტო] იყენებს უკანა ფეხებზე დგომას, როგორც დამაშინებელ პო-

ზას, თუმცა ამის გამო დათვი არ გახდა ბიპედალური), მაინც ის ყველაზე უფრო ახლო არის ჰარდი-მორგანის თეორიასთან, რომელიც ბიპედალიზმის განვითარებას პერმანენტული საფრთხისაგან თავის აცილების ქცევიდან ვარაუდობს. წიგნის შემდეგ გამოცემაში აუცილებლად აღვწერ ამ თეორიას. რაც შეეხება რეცენზენტის მიერ მოყვანილ სხვა ჰიპოთეზებს, რომელიც მისი აზრით, „შემაშინებელი პოზის“ თეორიას ამყარებს, ვფიქრობ, იმავე ქცევების წარმოშობის ასახსნელად ჩემს წიგნში უფრო კომპლექსური და სოციო-ფიზიოლოგიურ ევოლუციასთან დამაკავშირებელი მოსაზრებაა გამოთქმული. თუმცა, წიგნის შემდეგ გამოცემაში ამ ახსნის კრიტიკაც შევა.

III შენიშვნა: „გ. თევზაძეს წამოყენებული აქვს ნეანდერტალელების სოციალური ყოფის მეტად საინტერესო მოდელი. ამ მოდელის მიხედვით (რომელიც თავდაპირველად წამოაყენა თანამედროვეობის ერთ-ერთმა მოწინავე ანთროპოლოგმა ლუის ბინფორდმა), მდებრობითი სქესის ნეანდერტალელებს ჰქონდათ ჯგუფური ცხოვრების მოდელი, ხოლო მამრობითი სქესის ნეანდერტალელები ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, სოციალური ჯგუფების გარეშე. გ. თევზაძის მიხედვით, მამრობითი სქესის ნეანდერტალელები იყვნენ აუტისტური, არასოციალური არსებები, რომელთაც არ ჰქონდათ სარკისებური ნეირონები. ამ მოდელის მიხედვით მამრობითი სქესის ნეანდერტალელები ბუნებით უფრო ახლო არიან მარტოხელა მტაცებელ ცხოველებთან, ვიდრე ჰომო საპიენსთან.

ნამდვილად საინტერესო აზრია, მაგრამ ის ეწინააღმდეგება ჩვენთვის ცნობილ ფაქტებს. კერძოდ, პალეოანთროპოლოგიური მასალებიდან ცნობილია, რომ ნეანდერტალელები უვლიდნენ თავის დაშავებულ და ავადმყოფ ახლობლებს. ამისი დამადასტურებელი ფაქტები მოიპოვება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეანდერტალელების სადგომის, ე. წ. შანიდარის მღვიმის მასალებში ერაყში. აქ დამარხულ ჩონჩხებს შორის ორს ჰქონდა სერიოზული და ხანგრძლივი ჯანმრთელობის პრობლემა. ორივე მათგანი იყო მამრობითი სქესის. ეს ორი ჩონჩხი ცნობილია სახელებით შანიდარი 1 და შანიდარი 3. შანიდარ 1-ს არ ჰქონდა ხელი, და არ ჰქონდა ერთი თვალი. შანიდარ 3-ს კი ჰქონდა ერთ-ერთი ფეხის ატროფია, ასე რომ მას სიარულიც კი ძალიან გაუჭირდებოდა, არათუ ნადირობა ან თავის დაცვა. მიუხედავად ასეთი სერიოზული ნაკლისა ჯანმრთელობაში, ორივე მამალმა ნეანდერტალელმა მიაღწია ნეანდერტალელებისათვის საკმაოდ სოლიდურ ასაკს – 40-50 წელს. მათი ავადმყოფობა გრძელდებოდა ათწლეულების განმავლობაში (რაც ნიშნავს, რომ მათზე სხვები ზრუნავდნენ), და სიკვდილის მერე ისინი ორივენი დამარხულები იყვნენ სხვა, ჯანმრთელ

ნეანდერტალელებს შორის (თვით დამარხვის ფაქტიც მიუთითებს მამრი ნეანდერტალელების სოციალურ ბუნებაზე). თუ გიგი თევზაძეს სურს, რომ მაინც მხარი დაუჭიროს იმ მოდელს, რომლის მიხედვითაც ნეანდერტალელები იყვნენ აუტისტი, არასოციალური არსებები, მან როგორმე უნდა ახსნას ეს ფაქტები“.

პასუხი: მადლობა რეცენზენტს ნეანდერტალელების ყოფის მოდელის საინტერესოდ შეფასებისათვის. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ აუტისტობა, არ არის ყველა შემთხვევაში სრული ასოციალურობა. მით უმეტეს ასეთი არ იქნებოდა ნეანდერტალელი მამრის შემთხვევაში. წიგნში მე აღვწერ ჰიპოთეზას, თუ როგორ შეიძლებოდა ნეანდერტალელ მამრებში ევოლუციურად ჩამოყალიბებული ასოციალურობა, ჩვენ, ჰომო საპიენს საპიენსებს მიგველო მემკვიდრეობად, როგორც აუტისტი. რაც შეეხება ჰიპოთეზის წინამდებარეობას, რომელსაც რეცენზენტი აღწერს შანიდარებთან მიმართებაში, ის უბრალოდ არ არსებობს: ავადმყოფი მამრი ნეანდერტალელები შეიძლება, უბრალოდ, ბრუნდებოდნენ თავის „მშობლიურ“ ტომში, საიდანაც ზრდასრულები წავიდნენ და სადაც ქალების, მოზარდების და ბავშვების გარემოცვაში ასრულებდნენ თავის სიცოცხლეს. მათი დაბრუნების სოციალური მექანიზმი შეიძლება ყოფილიყო ალტრუიზმის გამოვლენა მდებარეების მხრიდან, მაგრამ, ასევე/ამავდ დროს – ბავშვების აღზრდაც/გამოცდილების გადაცემაც. ასეთი ვითარება ხშირია რთული სოციალური სტრუქტურის მქონე ცხოველებში.

IV და V შენიშვნა: „სასიხარულოა რომ ჰომოსექსუალზმის საკითხს ასეთი სერიოზული ადგილი აქვს დათმობილი წიგნში. ბევრი ცდილობს ხოლმე ამ საჩოთირო საკითხის გვერდის ავლას. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, გ. თევზაძის მიერ წარმოდგენილი სურათი მაინც უფრო ცალმხრივია. წიგნის მიხედვით, „ადამიანთა საზოგადოებაში აქტიურ ჰომოსექსუალ ინდივიდთა რაოდენობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მაღალორგანიზებულ ცხოველთა საზოგადოებებში – თუკი ადამიანთა საზოგადოებაში ჰომოსექსუალთა რიცხვი 10-15% აღწევს, ცხოველთა საზოგადოებაში ის არ სცდება 5%-ს. მკვლევარები თავად ცნებთ „ჰომოსექსუალის“ გამოყენებას ცხოველთა სამყაროს მიმართ არამართლზომიერად მიიჩნევენ“ (გვ. 51-52).

უპირველეს ყოვლისა, იმისი გამოცხადება, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ჰომოსექსუალთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მაღალგანვითარებულ ცხოველებში, არ შეესაბამება სინამდვილეს. დარწმუნებული ვარ, გ. თევზაძემ კარგად იცის ბონობოების შესახებ. ისინი, შესაძლოა, ჩვენი უახლოესი ცოცხალი ნათესავები არიან და, ამასთან,

ცნობილნი არიან თავისი ჰომოსექსუალური ქცევის ნორმებით. ფაქტიურად ყველა მამრობითი და მდედრობითი სქესის ბონობო ეწევა სქესობრივ ცხოვრებას ორივე სქესის თანამომხმეებთან. ბონობოების გარდა, მთელი რიგი ცხოველებისა ეწევიან აქტიურ ჰომოსექსუალურ ცხოვრებას. ლომები, სპილოები, პინგვინები, ბიზონები, ჟირაფები, მელიები, ძაღლები, საქონელი, თხები, ცხენები, შიმპანზეები, დელფინები და ვეშაპები – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ცხოველებისა, რომლებიც ჰომოსექსუალიზმს ეწევიან როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. აქ არაა საუბარი რამოდენიმე ინდივიდის ქცევაში გადახრებზე, ყველა ეს ცხოველი სრულებით ნორმალურად არის ჩართული ჰომოსექსუალურ ურთიერთობებში. ასეთ ცხოველთა რიცხვი 500-ს აღწევს (ბაგემილი, 1999; ტერი, 2000).

ცხოველთა შორის ჰომოსექსუალიზმს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს. ზოგიერთ ჯიშებში ჰომოსექსუალური კავშირები უფრო მნიშვნელოვანია მათი სოციალური ცხოვრებისათვის, ვიდრე ჰეტეროსექსუალური კავშირები. სპილოები ამისი კარგი მაგალითია. როდესაც მამრი სპილოები ჰომოსექსუალურ კავშირში იმყოფებიან, ეს კავშირი ხშირად გრძელდება ცხოვრების ბოლომდე (სპილოები კი როგორც ვიცით, დიდ ხანს ცოცხლობენ). ჰომოსექსუალურ წყვილს შორის მყარდება ინტენსიური მეგობრობა, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ვიდრე მათი დედალ სპილოებთან ურთიერთობა, რასაც დროებითი და წარმავალი ხასიათი აქვს. დედალ სპილოებთან კავშირი მაშინვე წყდება, როგორც კი მძუნაობის პერიოდი მთავრდება. ამის გამო მამალი სპილოები გაცილებით უფრო მყარ სოციალურ კავშირებს ამყარებენ თავის ჰომოსექსუალურ პარტნიორებთან, ვირდე დედალ სპილოებთან.

ერთი პატარა დამატება ამ საკითხთან დაკავშირებით. დასაინანია, რომ ჰომოსექსუალიზმის საკითხის განხილვისას ავტორი არც კი იხსენიებს ბისექსუალურობის საკითხს. მთელი ეს ზემოთჩამოთვლილი ცხოველთა სახეობები, ლომებისა და სპილოებით დაწყებული და პინგვინებით და ადამიანებით დამთავრებული, თავისი ბუნებით უმეტესად არიან ბისექსუალურები, ანუ იჩენენ სექსუალურ ინტერესს ორივე სქესის მეგობრების მიმართ“.

პასუხი: ვფიქრობ, რეცენზენტის ამ შენიშვნის პირველი ნაწილი მცირე წინაამდგომლობაშია საკუთარ თავთან. ბისექსუალურობა, ვფიქრობ, უფრო სოციალური მოვლენაა, ვიდრე ფიზიოლოგიური და ფართოდ აღიწერება რთულ სოციალურ სისტემებში, იმისდა მიუხედავად, სოციალური სისტემის ინდივიდებს ცხოველები წარმოადგენენ თუ ადამიანები. რეცენზენტი თვითონვე აღნიშნავს, ბონობოების

შემთხვევაში, რომ „ისინი, შესაძლოა, ჩვენი უახლოესი ცოცხალი ნათესავები არიან და, ამასთან, ცნობილნი არის თავისი ჰომოსექსუალური ქცევის ნორმებით. ფაქტიურად ყველა მამრობითი და მდედრობითი სქესის ბონობო ეწევა სქესობრივ ცხოვრებას ორივე სქესის თანამოძმეებთან“. აქ აშკარად ბისექსუალური კავშირებია აღწერილი. ამავე დროს, იმაზე, რომ ბონობოს საზოგადოებაში ბისექსუალიზმი სოციალური სისტემის შედეგია, ისიც მიუთითებს, რომ ბონობოს საზოგადოება ცნობილია, როგორც სექსით მართული (და არა ძალადობით მართული, როგორც ეს შიმპანზეების შემთხვევაშია). როდესაც მე ჰომოსექსუალობაზე ვწერ, აღვწერ არა ბისექსუალობას, არამედ, ჰომოსექსუალობას, რომლის სტატისტიკაც ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებაში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კინსეის (Kinsey, 1948; 1953) ცნობილ კვლევაში სწორედ ჰომოსექსუალური ქცევის დიდ პროცენტზე იყო ლაპარაკი. რაც შეეხება ბისექსუალობას, ამას კინსეი ლამის ადამიანთა პოპულაციის თვისებად განიხილავდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს შენიშვნა გამოიწვია ჩემს წიგნში ბისექსუალური ქცევის არასათანადო თემატიზაციამ. ვფიქრობ, ბისექსუალობის, როგორც სოციალური ქცევის, აღწერა მხოლოდ გაამდირებს წიგნის შემდგომ გამოცემას.

VII შენიშვნა: „ასევე დასაინანია, რომ ადამიანების სოციალური ბუნების განხილვაში ავტორი არ ახსენებს სოციალური ჰარმონიის მისალწვევ ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიცაა რიტმი. ადამიანები უნიკალურები არიან იმაშიც, რომ მხოლოდ მათ აქვთ უნარი აყვინენ გარეგან რიტმს, და ერთობლივად, ჯგუფურად იყვინენ რიტმულ მოძრაობაში ჩართულები. რიტმის გამაერთიანებელი უნარი (ერთად სიმღერა-ცეკვაში გამოხატული) ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში, სპორტული და პოლიტიკური მოვლენებით დაწყებული და ბრძოლაში მიმავალი მეომრებით დამთავრებული (პიესლაკი, 2009)“.

პასუხი: წიგნის ძალიან დიდი ნაწილი ეთმობა სიმღერის, ვოკალიზაციის, გამაერთიანებელი რიტუალების/პერფორმანსების დიდ მნიშვნელობას ჩვენი წინაპარი პრიმატის ჰომო საპინენსად ევოლუციის პროცესში. მე რომ არ ვიყენებ „რიტმის“ ცნებას, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ იგულისხმება, როგორც დიდი გამაერთიანებელი რიტუალის მამოძრავებელი უნარი.

ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ბ-ნ იოსებ ჟორდანიას საინტერესო შენიშვნებისა და ლიტერატურის მითითებისათვის, რომელთა გათვალისწინებაც მხოლოდ გაამდიდრებს და

გაამრავალფეროვნებს ამ მიმართულებით ჩემს შემდგომ მუშაობას.

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]

Sent: Saturday, March 30, 2013 1:19 PM

To: Prof. Dr. Zurab Kiknadze; Gigi Tevzadze

Subject: Review

ბ-ნო ზურაბ, ბ-ნო გიგი,

მოხარული ვარ რომ ნამდვილი მეცნიერული და საინტერესო დისკუსია გაიმართა ასეთ საინტერესო საკითხებზე. ის, რომ ბ-მა გიგიმ შენიშვნების უმეტესობას კრიტიკულად უპასუხა, ჩემთვის სრულებით გასაგებია და მისაღებია. მიხარია, რომ ბ-მა გიგიმ გადაწყვიტა ზოგიერთი ჩემი შეთავაზების გათვალისწინება წიგნის შემდეგი გამოცემისას.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, რომ ჩვენ კიდევ გაგვეგრძელებინა კამათი, ანუ ახლა მე დამეწერა „პასუხის პასუხი“ და მერე ბ-ნ გიგის დაეწერა „პასუხის პასუხის პასუხი“, მაგრამ მე მგონი ეს უკვე ნაყოფიერი აღარ იქნებოდა. ასე რომ, თუ გადაწყვეტთ, რომ ჩემი რეცენზია ბ-ნი გიგის პასუხთან ერთად დაიბეჭდოს, მე მგონი, მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

უკვე როგორც არა რეცენზიის კრიტიკული განხილვის გაგრძელება, არამედ როგორც მცირედი დამატება ერთ საკითხზე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ნეანდერტალელების ასოციალურობის შესახებ.

ბატონი გიგი საინტერესო იდეას გვთავაზობს ავადმყოფი მამაკაცი ნეანდერტალელების სიბერემდე გადარჩენის ასახსნელად, რომ ავადმყოფი ან დაზიანებული მამაკაცი ნეანდერტალელები, შესაძლოა, ბრუნდებოდნენ ქალების საზოგადოებაში, ანუ უბრუნდებოდნენ თავისი ბავშვობის ოჯახს, და რადგან ქალები სოციალური არსებები იყვნენ, ისინი ზრუნავდნენ დაზიანებულ მამრებზე და ინახავდნენ მათ სიბერემდე. ძალიან საინტერესო მოდელია, მაგრამ ამ საკითხის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარდა ავადმყოფი მამრი ნეანდერტალელებისა, იმავე შანიდარის მღვიმეში დაკრძალულები იყვნენ ასევე სრულებით ჯანმრთელი და ზრდადასრულებული მამაკაცი ნეანდერტალელებიც.

თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დეტალია და ამაზე დიდი ყურადღების გამახვილება არცა ღირს. საერთოდ, ნეანდერტალელების საკითხი ჯერ კიდევ ბევრ ამოუცნობ პრობლემას შეიცავს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბ-ნ გიგის საინტერესო წიგნისა და

ნამდვილი მეცნიერული კამათისათვის. მის პასუხებშიც კარგად გამოჩნდა მისი მეცნიერული ხედვის სიფართოვე და არაორდინალური აზროვნების უნარი. ასეთი სამეცნიერო კამათებით ქართული მეცნიერება (და საერთოდ მეცნიერება) მხოლოდ მოიგებს.

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანია*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>
To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>; 'Prof. Dr. Zurab Kiknadze' <zurab_kiknadze@iliauni.edu.ge>
Sent: Sunday, 31 March 2013 1:44 AM
Subject: RE: Review

ბ-ნო ზურაბ, ბ-ნო იოსებ,

მეც ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ორის კამათის გაგრძელება პუბლიკაციისათვის საინტერესო აღარ იქნებოდა. ორივე ტექსტის ერთად გამოქვეყნებაც კარგი აზრია.

რაც შეეხება ნეანდერტალელების საფლავებს: სრულიად შესაძლებელია, რომ შანიდარი უბრალოდ – ნეანდერტალელების საფლავი იყო, სადაც ყველა მამრი იმარხებოდა. შესაძლებელია, რომ მამრები არა მარტო სამკურნალოდ, სასიკვდილოდაც ბრუნდებოდნენ საწყის ოჯახებში, ხოლო ზრდასრული მამრი სიკვდილის შემდეგ სხვა მამრების მიერ ქალების ტომს გადაეცემოდა. სავარაუდოა, რომ ავადმყოფ ან მომაკვდავ მამრს არ ჰქონდა შანსი, სხვა მამრებისაგან მიეღო თანაგრძნობა და მოვლა. შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ ლამის უნივერსალური ქცევა, რომ ქალები უვლიან საფლავებს – ასევე ნეანდერტალელებისაგან მიღებული მემკვიდრეობაა.

ბ-ნო იოსებ, დიდი მადლობა საინტერესო და სასარგებლო რჩევებისათვის, ასევე, ჩემი სამუშაოს დადებითი შეფასებისათვის. ვფიქრობ, შანიდარის მღვიმის ამბავსაც შევითან შემიძევ გამოცემაში. მანამდე, იმედია, მომეცემა საშუალება პირადად გნახოთ და ვისაუბროთ.

World is too small not to meet.

იოსებ ჟორდანია**From:** Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]**Sent:** Sunday, March 31, 2013 8:50 AM**To:** Gigi Tevzadze; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge**Subject:** Re: Review

ბ-ნო გიგი,

დიდი მადლობა წერილისა და გულითადი სიტყვებისათვის.

მიხარია, რომ ასეთ საკითხებზე საქართველოში ასეთი საინტერესო მოაზროვნე მეცნიერი გამოჩნდა. მეც დიდი სიამოვნებით შეგხვდებოდით პირადად და ვესაუბრებოდით. თუ თქვენ ვერ მოხვდებით ავსტრალიაში მანამდე, 2014 წლის სექტემბერში მე ალბათ ვიქნები თბილისში (მრავალწმიანობის სიმპოზიუმზე), და თუ ამ დროს თბილისში იქნებით და დრო გექნებათ, დიდი სიამოვნებით შეგხვდებოდით. რა თქმა უნდა, თუ ბატონი ზურაბიც შეძლებს ჩვენს შეხვედრას დაესწროს, ძალიან მოხარული ვიქნები.

სხვათა შორის, თუკი შანიდარის მღვიმის ამბავს შეიტანთ წიგნის მომავალ გამოცემაში, აუცილებლად ნახეთ ამ მღვიმესთან დაკავშირებული გამოკვლევები და სრულად გამოიყენეთ მონაცემები ამ მღვიმეში დასაფლავებული ნეანდერტალელების შესახებ. მაგალითად, ამ სტატიიდან (http://www.boneandstone.com/articles/rohrer_06.html) აშკარაა, რომ მღვიმეში დასაფლავებული 8 ნეანდერტალელიდან 5 იყო მამაკაცი, ორი ქალი, და ერთი ბავშვი. ამ სტატიის გამოქვეყნების მერე მე-9 ჩონჩხიც აღმოაჩინეს. ასევე საინტერესოა, რომ ერთ-ერთი „ჯანმრთელი“ მამრი უეცრად მოკვდა, როცა ლოდების ცვენაში მოყვა (და შესაბამისად, ვერ მივიდოდა ქალებთან); მეორე „ჯანმრთელი“ მამრი, მეცნიერები ფიქრობენ, რომ შესაძლოა იყო „ტომის ექიმი“ რადგან მის საფლავში ნახეს ჩაყოლებული დღეისათვის ცნობილი სამკურნალო ყვავილები.

საერთოდ, ნეანდერტალელების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად იზრდება. რამოდენიმე წლის წინ, მაგალითად, იყო აზრი, რომ ნეანდერტალელები სრულიად შეუთავსებლები იყვნენ თანამედროვე ადამიანებთან; მერე ნახეს, რომ თურმე მათი გენები არის თანამედროვე ადამიანში. ვფიქრობ, რომ საბოლოოდ ნეანდერტალელების საკითხი ისე გადაწყდება, როგორც ეს ყველაზე უფრო ცნობილი ანთროპოლოგების ერთ ნაწილს (ჰრდლიჩკა, ვაიდენრაიხი, ბრეისი, ალექსევი) მიაჩნდა: რომ ნეანდერტალელები იყვნენ თანამედროვე ევროპული მოსახლეობის (უფრო ჩრდილოელი და მთიანი რეგიონის ევროპელების) წინაპრები, ნაწილობრივ მაინც.

*საუკეთესო სურვილებით და შეხვედრის იმედით,
იოსებ ჟორდანია*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>

To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge

Sent: Monday, 1 April 2013 4:40 PM

Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

დიდი მადლობა წერილისათვის და კეთილი სიტყვებისათვის.

ჯერ-ჯერობით, როგორც ვიცი, 2014 წლის აპრილში თბილისში უნდა ვიყო. თუ მანამდე ავსტრალიაში მოვხვდი, დაგიკავშირდებით.

ქვისცვენაში მოყოლილი ნენადერტალელის დასაფლავების ამბავი საინტერესოა. ამ ფაქტის ბევრნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება, მათ შორის ისეთიც, რომ დაღუპულების გადაცემა ხდებოდა ქალების ტომისათვის დასამარხად. რაც შეეხება მამრის „ექიობას“ – ეს შესაძლებელი თვისება კარგად ჯდება აუტისტური სპექტრის თანამედროვე გაგებაში: თანამედროვე მიდგომით, აუტისტური და ასპერგერის სინდრომის მქონე ადამიანები ძალიან ფართო სიმრავლეა და მეცნიერების ბევრი წარმატებული წარმომადგენელი აღიწერება, როგორც ამ სინდრომის მატარებელი. ასე რომ, „ექიმი“ ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო მამრი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

რაც შეეხება ნენადერტალელების გენებს ჩვენში – ეს უკვე დამტკიცებულია, ბოლოდროინდელი გენეტიკური კვლევებით, რომ ისინი, აფრიკელი ჰომო საპიენს სამპიენსების გარდა, ყველა ჩვენგანის წინაპრები არიან – არა-აფრიკული წარმოშობის ადამიანებში ნენადერტალელთა გენი 4%-მდეა.

და ბოლოს, ჩემი კვლევებიდან გამომდინარე ერთი საინტერესო შედეგის შესახებ მინდა გითხრათ, რომელიც, ვფიქრობ, დაგაინტერესებთ: გახსოვთ ალბათ, ჩემს წიგნში ვწერ შესაძლებელ კავშირს ნენადერტალელი მამრების განმარტოებულ ცხოვრებასა და საყოველთაო მითს – ტყეში მცხოვრები უცნაური ადამიანის (ბრძენის) შესახებ – შორის. ეს „სიბრძნე“ ხშირ შემთხვევებში უკავშირდება ცხოველების ენის ცოდნას, მათთან ლაპარაკის უნარს, მათი დამორჩილების უნარს და ა. შ. ვიფიქრე, რომ თუ ამ მითს რამე კავშირი აქვს ნენადერტალელებთან, ხოლო აუტისტის სინდრომის მატარებლებს – ნენადერტალულ მემკვიდრეობასთან, აუტისტური სპექტრის ადამიანებს განსაკუთრებული ურთიერთობა შეეძლება დაამყარონ ცხოველებთან. ამიტომ, ვთხოვე უნივერსიტეტის რაიტთერაპიის მკვლევარებს და

სპეციალისტებს, მათი მოქმედების არეალში აუტისტი ბავშვებიც შეეყვანათ (მანამდე, ძირითადად ცერებრალური დამბლის ბავშვებთან მუშაობდნენ). ცხენებთან ურთიერთობა ნამდვილად არაფერს არ გააფუჭებდა. ეს აქტიობა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო და ძალიან იმედისმომცემი შედეგებია: ბავშვები, რომლებიც არავისთან არ შედიოდნენ კონტაქტში, ცხენებთან ურთიერთობაში გაისხნენ, დაიწყეს კონტაქტი არა მარტო ცხენებთან, ადამიანებთანაც. რაც მთავარია, ცხენებთან ურთიერთობა დაიწყო ცხენების მოვლის სურვილით: ძალიან სკრულპულოზურად ვარცხნიან და წმენდენ ცხენებს. ანუ, ცხოველებთან ურთიერთობამ მოტორიკის განვითარებაზეც იქონია გავლენა. ეს შემთხვევები პროტოკოლირდება და ალბათ ერთ წელიწადში პუბლიკაციაც მომზადდება.

*საუკეთესო სურვილებით,
გიგი თევზაძე*

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]

Sent: Monday, April 01, 2013 12:29 PM

To: Gigi Tevzadze; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge

Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

რაზეც თქვენ მწერთ, საოცრად საინტერესოა! დარწმუნებული ვარ თქვენი შეთავაზება სწორი იყო და პუბლიკაციაც დიდ ინტერესს გამოიწვევს. როცა გამოჩნდება ეს ახალი პუბლიკაცია, კარგი იქნება, თუ შემატყობინებთ.

საერთოდ, „ცხოველების თერაპია“ საკმაოდ ცნობილი მოვლენაა. ამაში ძაღლებს, კატებს, დელფინებს, ცხენებს და სხვა ცხოველებსაც იყენებენ. (ფროიდს, მაგალითად, ხშირად შეჰყავდა ხოლმე ძაღლი ფსიქოთერაპიულ სესიონებზე, რაც დადებითად მოქმედებდა კლიენტებზე, მით უმეტეს ბავშვებზე). დღეს ამას გაცილებით უფრო პირდაპირ და უფრო ფართოდ იყენებენ და სპეციალურად დაჰყავთ პრობლემებიანი ბავშვები ცხოველებთან საურთიერთობოდ. ცხენებთან პრობლემიანი ბავშვების ურთიერთობის სიკეთეებზე, მათ შორის აუტისტიკებისთვისაც, ასევე საკმაოდ წერენ (იხილეთ, მაგ., სტატია: http://en.wikipedia.org/wiki/animal-assisted_therapy). სწორედ წინა კვირას დაიბეჭდა ადგილობრივ (ჩვენი რაიონის) გაზეთში სტატია ერთ აუტისტ ბიჭზე, რომელსაც სწორედ ცხენებთან ურთიერთობის მერე საოცრად გაუუმჯობესდა სოციალური ცხოვრება.

(სხვათა შორის, მე სწორედ ეს ვამთავრებ წიგნს ადამიანებისა და მტაცებლების ურთიერთობაზე ევოლუციურ ჭრილში, და იქ ვაყენებ საკითხს, რომ დიდ კატისებურ მტაცებლებთან ახლო ურთიერთობა განსაკუთრებით კარგად უნდა მოქმედებდეს დეპრესირებულ ადამიანებზე, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია...)

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შეიძლება იყოს ცხოველების დადებითი ზემოქმედება დაკავშირებული ძველი ნეანდერტელელების მარტოხელა არასოციალურ ცხოვრებასთან, ეს მაინც უფრო რთულ საკითხად მიმაჩნია (თუმცა ლეგენდები მარტოხელა ბუნებასთან მყოფ ადამიანზე და მარტოხელა ნეანდერტალებზე მართლაც კარგად თანხმდება ერთმანეთში!). ჩემთვის ყველაზე დიდი დაბრკოლება იმისათვის, რომ მივიღო ის აზრი, რომ მამრი ნეანდერტალები მარტოხელები ცხოვრობდნენ, არის ის, რომ ადამიანს (და განსაკუთრებით მამაკაცს) აქვს არაჩვეულებრივად აქტიური სქესობრივი ცხოვრებისაკენ მიდრეკილება.

მამაკაცები, როგორც თქვენც გეცოდინებათ, საშუალოდ ყოველ 6-7 წამში ერთხელ ფიქრობენ სექსის შესახებ. ბევრი აკრიტიკებს ამას და წერს, რომ მხოლოდ საათში ორჯერ ფიქრობენ კაცები სექსზეო. მაინც ძალიან ბევრია. ჰოდა ჩნდება საკითხი, რატომ იცხოვრებდნენ ასეთი სქესობრივი მოთხოვნილებების მქონე არსებები მარტოკები, ქალებისგან შორს? გარდა ქალებისა, მამაკაცებს ასევე აქვთ ბუნებრივი ლტოლვა ერთმანეთის მიმართაც, რაც ასევე შეიძლება ჰომოსექსუალურ სქესობრივ ცხოვრებაშიც გამოიხატებოდეს. ჰოდა ასეთი სქესობრივად აქტიური ბიოლოგიური მექანიზმი, მე მგონი, უფრო იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანის ყველა „ნაირსახეობა“ (ნეანდერტალელის ჩათვლით) უაღრესად სოციალური უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში მარტოხელა მტაცებელივით ცხოვრება შეუფერებლად ჩანს ასეთი ბიოლოგიური რიტმის მქონე არსებისათვის.

სწორედ ამისა გამო მე „ბრძენი“ კაცის მარტოხელად ცხოვრება უფრო იმ გვიანდელი ეპოქის ნაყოფად მიმაჩნია, როდესაც სექსი ცოდვად, ხოლო სექსისგან თავშეკავება სიბრძნისა და სიწმინდის ნიშნად ითვლებოდა (ეს კი უკვე ქრისტიანული რელიგიის გავლენით იყო ალბათ ნაკარნახევი).

რა თქმა უნდა, რაც არ უნდა საბუთები მოვიტანოთ, ყველაფერი ეს მხოლოდ ჰიპოთეზებია. საერთოდ, მე ძალიან მომხრე ვარ იმისა, რომ მეცნიერმა ფართოდ იაზროვნოს. მე თქვენში ვხედავ ამ ფართო აზროვნებას და მე ეს ძალიან მახარებს.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენისთანა თამამი და ანალიტიკური ტვინის პატრონი კიდევ მრავალ საინტერესო აღმოჩენას გააკეთებს.

საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანიძე

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>

To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge

Sent: Monday, 1 April 2013 7:53 PM

Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

რა თქმა უნდა, ცხოველების თერაპიის შეზღუდულ შესაძლებლობის ბავშვებზე პოზიტიური მოქმედება ცნობილი მოვლენაა. თუმცა ამ შემთხვევაში თეორიული წინაპირობა გამომადგა მევარაუდა, რომ პრინციპულად ყველა აუტისტ ბავშვზე ექნებოდა პოზიტიური გავლენა, რაც თითქოსდა მართლდება. ანუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სტატისტიკურად დასაბუთებულ პოზიტიურ შედეგს მივიღებთ (და არა რამდენიმე შემთხვევის აღწერას).

რაც შეეხება ნეანდერტალელი მამრების ცალკე ცხოვრებას – როგორც ბინფორდი აღწერდა, ეს არ იყო „ძალიან შორს“ ცხოვრება, არამედ, ქალების ტომის პერიფერიაზე. ასე რომ, ნეანდერტალელებს არა მარტო შეიძლება ეფიქრათ სექსზე, არამედ, აქტიურად დაკავებულიყვნენ კიდევ ამით. ახლა გამახსენდა: უილიამ გოლდინგის ერთი რომანია – პირველყოფილ ადამიანებზე, სადაც დაახლოებით ასეთი – ქალების და კაცების ცალ-ცალკე ცხოვრებაა აღწერილი. ამ ვერსიაში კაცები ერთად ცხოვრობენ (მომთაბარებოვნ) და ბისექსუალები არიან. ბევრი არაფერი, თუმცა, საინტერესოა, რამ მიიყვანა გოლდინგი ამ სიუჟეტამდე.

რაც შეეხება ტყეში მცხოვრები ბრძენის/უნიკალური შესაძლებლობის მქონეს ამბავს – ეს ყველა კულტურაშია (ჩინური, ინდური, ბერძნული, შუმერული, აქადური – ბატონი ზურაბი დამემოწმება). ასე რომ, ეს ამბავი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ქრისტიანობა. სექსუალურ ცხოვრებაზე გამახსენდა – გილგამეშის და ენქიდუს (სხვათა შორის – ენქიდუ გამოირჩეოდა ცხოველებთან ურთიერთობის უნარით) მითი კარგად აღწერს მარტო მცხოვრებლების შესაძლებელ ურთიერთობებს.

By the way – დღეს ვკითხულობდი სტატიებს, რა მნიშვნელობა აქვს ვირუსებს ადამიანის გვინის ევოლუციაში (ადამიანის დნმ-ს 8% ვირუსებისგანაა მიღებული). საინტერესოა, რომ მასიურად ვირუსე-

ბის შელწევა ორგანიზმებში (სპერმის, ან მუცელში მყოფი ნაყოფის დაინფიცირება) წყლის გარემოში ყველაზე უფრო ოპტიმალურად გამოვიდოდა.

*საუკეთესო სურვილებით,
გიგი*

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]

Sent: Monday, April 01, 2013 5:27 PM

To: Gigi Tevzadze

Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

სრულებით მართალი ბრძანდებით, „მარტოხელა ბრძენის“ ამბავი ნამდვილად არ არის ქრისტიანობასავით გვიანდელი, მაგრამ რამდენად ადრინდელია? ეს მოვლენა (1) ევოლუციის სიღრმეებში მიდის თუ (2) უფრო ცივილიზაციის გაჩენას უკავშირდება? მე რატომღაც მგონია, რომ ეს უფრო ცივილიზაციის გაჩენის პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო. ფროიდის ცნობილი იდეის მიხედვით, რომ „ცივილიზაცია არის აკრძალვების სისტემა“, სწორედ სექსის შეზღუდვა იყო დიდი ცივილიზაციების მიერ შემოღებული როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, და განდევნის ცხოვრება იქცა „მარტოხელა ბრძენის“ ცხოვრების მოდელად ასევე ცივილიზაციებში. საინტერესოა, ასეთი „მარტოხელა ბრძენის“ იდეა თუ არის უნივერსალური მსოფლიოს ტომობრივ საზოგადოებებში (მაგალითად, პაპუა ახალ გვინეას ტომებში, ამაზონის ტყეებში, პიგმეებში), თუ ეს უფრო ცივილიზაციებს ახასიათებს? ეს შეიძლება უფრო ცივილიზაციებისათვის იყოს დამახასიათებელი. მე რამდენადაც ვიცი, ტომობრივი საზოგადოების წევრებისათვის ტომიდან გაძევება, „მოკვეთა“, ფაქტიურად სიკვდილის მისჯის ტოლფასი იყო.

რაც შეეხება ნეანდერტალელი მამაკაცების ცხოვრებას „ქალებთან შორიახლოს“, ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა მაშინ დგება საკითხი, რამდენად შეიძლება ეს ჩაითვალოს „მარტოხელა ცხოვრებად“, ანუ „მარტოხელა მტაცებლის“ მსგავს ცხოვრებად? მარტოხელა მტაცებელია, მაგალითად, ვეფხვი, რომელსაც არა აქვს კონტაქტი დედალ ვეფხვთან, მხოლოდ როცა ნაყოფიერი პერიოდი მოსდის, დედალი იწყებს ღრიალს, რომ მამრს გააგონოს თავისი მდგომარეობა და „მოიწვიოს“ განაყოფიერებისათვის. ადამიანის ყველა რასაში კი ოვულაცია დაფარულია, რაც იმას მიუთითებს, რომ სქესობრივი

ცხოვრება ძალიან აქტიური უნდა ყოფილიყო. ეს კი, მე მგონი, მაინც ნაკლებად შესაძლოს ხდის კაცების და ქალების ცალ-ცალკე ცხოვრების მოდელს.

გოლდინგს რაც შეეხება (რომელმაც ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურაში), იგი ოქსფორდში სწავლობდა, მგონი, ანთროპოლოგიას, ასე რომ პროფესიონალი იყო და კარგად იცნობდა იმ საგანს, რაზეც სწერდა.

ვირუსების ყოფნა ადამიანის გენომში ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე როგორც ვიცი, სხვა ცხოველებშიც ვირუსები ასევე საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ. საინტერესოა, თუ რა პროცენტია ვირუსებისა წყალში და ხმელეთზე მცხოვრებ არსებებში. თუ წყალში მაცხოვრებლებს გაცილებით მეტი აქვთ გენომში ვირუსები, ვიდრე ხმელეთზე მაცხოვრებს და, თუ ადამიანში ვირუსების რაოდენობა ისეთივეა, როგორც წყლის ცხოველებში, მაშინ ეს სერიოზული არგუმენტი იქნება.

აი, რამდენ საინტერესო რამეზე გვაქვს საუბარი, ნამდვილად მიხარია! წარმომიდგენია შეხვედრისას რამდენი ახალი საინტერესო საკითხი გაჩნდება!..

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანია*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>

To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>

Sent: Tuesday, 2 April 2013 2:47 AM

Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

სწორედ ეგ მაინტერესებს გოლდინგთან მიმართებაში; რა თეორიამ უბიძგა, ასეთი სურათი აეგო? ბინფორდამდე ქალების და კაცების „გაყოფილი ცხოვრების“ თეორიას არ ვიცნობ (ან არ მახსოვს). თან ნობელის პრემია ამ რომანში ნამდვილად არ აუღია. „ბუზთა ბატონი“; მისი ყველაზე ცნობილი წიგნი, XX საუკუნის პირველი ნახევრის ანთროპოლოგიის კარგ ცოდნას ემყარება.

ვეფხვის მაგალითი მართებულია, თუმცა, ანალოგიას ყოველთვის არ მივყავართ გაგებისაკენ. მეორე მხრივ, მარტოხელა ცხოვრების მითები ადამიანთა საზოგადოებებში ყოველთვის არ შეიცავს სქესობრივ აკრძალვებს. პაპუა ახალ გვინეაზე არ მახსოვს, თუმცა, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებში ეს მითები აღწერილია და შამანებს/მკურნალებს უკავშირდება. თუკი არ მეშლება, ზოგიერთ ტომში შამანი მკურ-

ნალები ფორმალურად ტომის ტერიტორიის გარეთ ცხოვრობდნენ.

ვირუსებს რაც შეეხება, ზოგადად დნმ-ის გართულება ვირუსებს მიეწერება. ოლონდ, ჰომო საპიენსის შემთხვევაში მკვლევარები ასე ხსნიან განსხვავებას შიმპანზეებსა და ადამიანებს შორის (BOOST OF THE BRAIN). ანუ, შიმპანზეების დნმ-ში ამ ვირუსების კვალი არ არის. ანუ, ჩნდება კითხვა, თუ რა უნდა ყოფილიყო ის განსხვავებული გარემო, სადაც პრიმატების ერთი ჯგუფი ტოტალურად დაინფიცირდებოდა კონკრეტული რეტროვირუსით, ხოლო სხვა ჯგუფი – არა.

მეც ძალიან დიდი ინტერესით ველი მომავალ შეხვედრას.

*საუკეთესო სურვილებით,
გიგი*

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]

Sent: Tuesday, April 02, 2013 8:37 AM

To: Gigi Tevzadze

Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

მართალი ბრძანდებით, გოლდინგის „ბუზთა ბატონი“ გაცილებით უფრო ცნობილი წიგნია. რაც შეეხება ქალების და კაცების გაყოფილი ცხოვრების იდეას (თუმცა გოლდინგთან კაცები მარტოხელეები არ ცხოვრობენ), ეს, შესაძლოა, მისი საკუთარი იდეა იყო, და შესაძლოა, პირიქით, ბინჯორდის აზროვნებაზე მას მოახდინა გავლენა.

საერთოდ, ქალებისა და კაცების ურთიერთობის საკითხი ევოლუციურ წარსულში დღემდე დიდი კამათის სფეროა. ყველაზე ცნობილია, რა თქმა უნდა, მონოგამიური თეორია. შემდეგ, ალბათ, მოდის პოლიგამიური თეორია, სადაც ერთი კაცი უკვე რამოდენიმე ქალის მფლობელია. ამ ორი მოდელის გარდა ბევრი სხვა მოდელს არც განიხილავს.

შედარებით ნაკლებად არის ცნობილი „ჯგუფური ქორწინების“ მოდელი, რომლის მიხედვითაც ჯგუფის ყველა წევრი „ეკუთვნოდა“ ერთმანეთს, ან, უფრო ზუსტად, არავინ არავის არ „ეკუთვნოდა“. ამ მოდელში საზოგადოების ყველა წევრი ერთად ზრუნავდა ერთმანეთზე, ბავშვების გაზრდაზე, საჭმლის მოპოვებაზე, მტაცებლების მოგერიებაზე, და ა. შ... ეს მოდელი შეიცავდა როგორც ჰეტეროსექსუალურ, ისე ჰომოსექსუალურ კავშირებს ჯგუფის წევრებს შორის. ეს მოდელი ძალიან ახლოსაა ბონობოების ცხოვრების მოდელთან. სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორების ნაწერებში ეს მოდელი საკმაოდ პო-

პულარულია. ამერიკაში 1844 წელს შექმნილი „ონეიდას საზოგადოება“ სწორედ ამ მოდელზე იყო აგებული, სანამ ისინი კანონგარეშედ არ გამოაცხადეს და არ დაშალეს. ჩემი აზრით, ეს მოდელი ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო ადამიანის ევოლუციურ წარსულთან, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ აზრს ბევრი არ ეთანხმება.

სხვადასხვა ტომების ცხოვრების წესები ნამდვილად საინტერესო იქნება ინახოს, და თუ თქვენ ამ საკითხს (მარტონელა მოხუცი ბრძენის საკითხს) უფრო დაწვრილებით განიხილავთ წიგნის მომავალ გამოცემაში, ამ მითის გარცელებას, ალბათ, საფუძვლიანადაც გამოიკვლევთ. მეც დაინტერესებული ვიქნები ამ მიმართულებით კვლევის შედეგებით. რა თქმა უნდა, თავისთავად „მოხუცი ბრძენი კაცი“ კარლ იუნგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქეტიპია, მაგრამ რამდენად არის ის დაკავშირებული განცალკევებით ცხოვრებასთან სხვადასხვა ადრეული ფორმაციის ტომებში, ეს სხვა საკითხია.

ვირუსების საკითხი მართლაც საინტერესოა, თუმცა ერთი დაბრკოლება რჩება იმაში, რომ ვირუსებით აიხსნას ადამიანის ტვინის მოცულობის გაზრდა და ინტელექტუალური განვითარება, თუ ამას წყლის მაიმუნის თეორიას დავუკავშირებთ. ერთი მხრივ, წყლის მაიმუნის თეორიის მიხედვით წყალში ცხოვრების პერიოდი იყო ყველაზე ადრეული პერიოდი (დაახლოებით ტოუმასის პერიოდი), რომელი ეპოქიდანაც თითქმის არაა ძვლები შემორჩენილი, რასაც ასევე წყალში ცხოვრების შედეგადაც თვლიან ამ თეორიის მიმდევრები. მეორე მხრივ, ტვინის განვითარება და გაზრდა მოხდა გაცილებით გვიან, დაახლოებით ავსტრალიოპითეკიდან ჰომო ერექტუსზე გადასვლის პერიოდში, ანუ როდესაც ადამიანის წინაპარს წყალთან უკვე აღარ უნდა ჰქონოდა საქმე. შესაბამისად, ადამიანის ტვინის განვითარება მოხდა მაშინ, როცა ის უკვე ხმელეთზე ცხოვრობდა (თვით წყლის მაიმუნის თეორიის მომხრეების მიხედვითაც).

მოკლედ, სასაუბრო ძალიან ბევრია, და თქვენთან საუბარი მართლაც სამეცნიერო საუბრის „მადას“ აღვიძებს!

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანი*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>
To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>
Sent: Tuesday, 2 April 2013 4:50 PM
Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

მადლობა წერილისათვის. რა თქმა, უნდა ტვინის გაზრდა მოგვიანებით მოხდა, მაგრამ დაინფიცირება, როგორც ამას გენეტიკური საათის მიხედვით ადგენენ, გაცილებით ადრე, 7 მლნ. წელზე ადრეც კი უნდა მომხდარიყო.

ოჯახის წარმოშობა მართლაც ერთ-ერთი საინტერესო თემაა. გამომდინარე იქიდან, რომ უკვე ისტორიულ პერიოდში ოჯახის თითქმის ყველა სახეს ვხვდებით (მონოგამია, პოლიგამია, მრავალცოლიანი, მრავალქმრიანი და ა.შ.), არა მგონია, რომ რაიმე „ნუკლეარული“ სისტემა არსებობდა და მერე იქიდან განვითარდა ისტორიულად ცნობილი სისტემები. გამომდინარე ადამიანის წინაპარი პრიმატის (როგორც ვფიქრობ) ძალიან დიდ ჯგუფებად ცხოვრების წესიდან, ოჯახური ცხოვრების წესი საკმაოდ გვიანდელი წარმონაქმნი უნდა იყოს. ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ, როდესაც „ყველა ყველას ეკუთვნოდა“ წესს მიიჩნევთ ადამიანის ევოლუციური წარსულის ყველაზე უფრო შესაძლებელ მოდელად.

სასაუბრო მართლაც ბევრია. რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, თქვენი არგუმენტები კვლევის ახალ შესაძლებლობებს აჩენს.

*საუკეთესო სურვილებით,
გიგი*

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]
Sent: Wednesday, April 03, 2013 8:00 AM
To: Gigi Tevzadze; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge
Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

მეც ასე მგონია, რომ ჩვენი პრიმატი წინაპრები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ჰომინიდებიც და ადრეული ადამიანებიც, უფრო „ჯგუფური ქორწინების“ პრინციპით იცხოვრებდნენ. მთელ რიგ ადამიანურ

საზოგადოებებშიც ახლობელი ქალების სხვებისათვის „გაყოფა“ ასევე მიღებული იყო, როგორც ჩანს (ხევესურული სწორფრობა გავიხსენოთ თუნდაც, რომელიც, ქრისტიანული აკრძალვების მიუხედავად, მაინც შემორჩა). ქალების მშვიდობიანი გაყოფა მამრებს შორის, სხვათა შორის, ასევე ძალიან მიღებულია ლომებს შორისაც, სადაც პრაიდის მამალი ლომები (ორიდან ხუთ მამალ ლომამდე) ყოველთვის უპრობლემოდ იყოფენ დედალ ლომებს – არავინ არავის არ ეკუთვნის, არავინ არ ჩხუბობს, ყველა დედალი და ყველა მამალი ყველასია.

რაც შეეხება ადამიანის ტვინის ადრე ინფიცირებას ვირუსებით, ეს ძალიან საინტერესოა, თუმცა თუ ეს ასე ადრე მოხდა, მაშინ გაუგებარი ხდება, რატომ შეეხო ის მხოლოდ ადამიანის შტოს – ადამიანისა და შიმპანზეს დაყოფას ხომ დაახლოებით 6-7 მილიონი წლით ათარიღებენ. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ ტოჰუმი იყო არა ადამიანის წინაპარი, არამედ ადამიან-შიმპანზეს საერთო წინაპარი, რაც ასევე ადვილად შესაძლებელია მომხდარიყო.

მიხარია, რომ ჩვენს ელ. ფოსტით საუბარს ასეთი მრავალმხრივი თემატური განშტოებები აქვს, და ასეთ შემოქმედებით იმპულსებს აღძრავს!

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანია*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>

To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>

Sent: Wednesday, 3 April 2013 4:10 PM

Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

მადლობა წერილისათვის. ადამიანების ოჯახის მაგალითი კარგი ილუსტრაციაა ამ სახეობის შემოქმედებითობის: ის, რაც არ არის მემკვიდრეობით მიღებული, საოცრად მრავალფეროვანი ფორმებით ვითარდება. კონკრეტულად კი, ადამიანის ოჯახების მრავალფეროვნება ფაქტიურად იმეორებს ოჯახის ყველა ფორმას, რომელიც ძუძუმწოვრებში გვხვდება.

რაც შეეხება ტვინს და ვირუსს. ვაგრძელებ სტატიების კითხვას და მოგწერთ, როცა რაიმე საინტერესოს ვნახავ. ზოგადად, დაინფიცირება „ეგრევე“ შედეგს ვერ გამოიწვევდა. ტვინის გაზრდას რამდენიმე მილიონი წელი დასჭირდებოდა.

*საუკეთესო სურვილებით
გიგი*

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]

Sent: Wednesday, April 03, 2013 10:27 AM

To: Gigi Tevzadze; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge

Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

გეთანხმებით, რომ ადამიანის კულტურული მემკვიდრეობითობა ოჯახის მხრივ ძალიან მრავალფეროვანია. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ ძუძუმწოვრების ოჯახურ მოდელს ვხვდებით ადამიანთა საზოგადოებებში, თორემ ზოგიერთი ჯიშის ობობა მდედრები სქესობრივი აქტის დამთავების მერე მამრებს ჭამს ხოლმე...

ვირუსების შესახებ – საინტერესო იქნება ამ მიმართულებით კვლევის ახალი შედეგების გაცნობა. თუ მომწერთ, მაღლობელი ვიქნები. ის აზრი, რომ ვირუსებმა უფრო გვიან დაიწყეს ზემოქმედება ჩვენს ტვინში, მაინც არ ქმნის ნათელ სურათს, რადგან მაშინ დასადგენია, იმავე ვირუსებმა რატომ მიიღეს განვითარება მხოლოდ ადამიანის ტვინში და არა შიმპანზის ტვინში, თუ ორივეს ერთნაირად ჰქონდათ მემკვიდრეობად მიღებული ვირუსები ტვინში...

ადამიანური აზროვნების განვითარებას რაც შეეხება, მე 2006 წლის წიგნში წამოვაცენე ჰიპოთეზა, რომ ადამიანის ტვინმა „რუბიკონი გადალახა“ მაშინ, როცა ისწავლა შეკითხვების ჩამოყალიბება. ამის მერე დაიწყო, ჩემი აზრით, ადამიანის ტვინმა უკვე „თვითგანვითარება“ ეს მოხდა ჯერ კიდევ მეტყველების ჩამოყალიბებამდე, ძველი, ინტონაციური კომუნიკაციის პირობებში. შეკითხვის ინტონაცია აბსოლუტური უნივერსალია მსოფლიოს ყველა ენაში. და რაც მთავარია, ლაბორატორიებში სპეციალურად მომზადებული, „განათლებული“ შიმპანზეები და ბონობოები შეკითხვებს ვერ სვამენ, თუმცა შეუძლიათ ადამიანების მიერ მიცემული შეკითხვები გაიგონ და სწორადაც უპასუხონ. ესეც ძალიან საინტერესო სფეროა...

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანია*

გიგი თევზაძე

From: Gigi Tevzadze <gigi@iliauni.edu.ge>
To: 'Joseph Jordania' <josephjordania@yahoo.com.au>
Sent: Wednesday, 3 April 2013 11:00 AM
Subject: RE: Review

ბ-ნო იოსებ,

ჯერ-ჯერობით, რაც გავიგე, არის ის, რომ ამ რეტროვირუსის კვალი არ არის სხვა პრიმატების დნმ-ში. კიდევ ვნახავ. სქემა ასეთია: ვირუსით დაინფიცირდა (როგორც ჩანს) კარგად მოზრდილი ჯგუფი. შემდეგ ამან რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში გამოიწვია ადამიანის ტვინი. შეიძლება სწორედ ამ დაინფიცირებამ გამოიწვია მოგვიანებით ჰომოდ, როგორც ცალკე სახეობად ჩამოყალიბება.

შეკითხვის დასმის ამბავი საინტერესოა. თქვენი ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ხომ არ არის შეკითხვის დასმის წარმოშობა (ანუ, ჯერ კიდევ ინტონაციურ დონეზე) დაკავშირებული პერფორმანსის დროს საზოგადოებასთან მიმართვის ფორმასთან? ანუ, ასე დამსწრე საზოგადოება უფრო „ებმება“ პერფორმატორის დაწესებულ რიტმში: პასუხობს, რეაქციას აძლევს და ა. შ. ამას დღესაც კარგად იყენებენ ორატორები და არტის ხალხი.

საუკეთესო სურვილებით,
გიგი

იოსებ ჟორდანია

From: Joseph Jordania [mailto:josephjordania@yahoo.com.au]
Sent: Wednesday, April 03, 2013 11:30 AM
To: Gigi Tevzadze; zurab_kiknadze@iliauni.edu.ge
Subject: Re: Review

ბ-ნო გიგი,

საინტერესოა ვირუსების კვლევის შემდგომი შედეგები რა იქნება...

ის, რომ ბევრი გენეტიკური ცვლილება (მათ შორის ვირუსებით გამოწვეული) არის შემთხვევითი, ცნობილია. მთავარი ისაა, თუ ამ ცვლილებებიდან რა იქნება ევოლუციური პროცესის მიხედვით შერჩეული როგორც უფრო ოპტიმალური მოდელი გადარჩენისათვის.

შეკითხვის წარმოშობას რაც შეეხება, გეთანხმებით რომ ეს მოხდა

შემსრულებლობის კონტექსტში, და არა „ინტელექტუალური აზრთა გაცვლა-გამოცვლის“ შედეგად. 2006 წლის წიგნში (რომლის სათაურიც იყო „ვინ დასვა პირველი შეკითხვა? საგუნდო მრავალხმიანობის, აზროვნების, ენებისა და მეტყველების გენეზისი“) მე ეს დაუკავშირე სწორედ რიტუალურ რიტმულ ცეკვებს. არქაული საფერხულო სიმღერები, როგორც წესი, დღესაც ორგუნდოვანია, და ხშირად სრულდება კორიფეს (სოლისტის, ბელადის) და გუნდის მონაცვლეობით. აქაა შეკითხვის გაჩენის კარგი მოდელი... სპირირუელსში და როკენროლშიც ხომ ასევე ძალიან არის მიღებული დამწყების და მისი პასუხის (ან გამეორების) ფორმა: ოოო – ოოო, ეეე – ეეე, და ა.შ... ზოგიერთი ფერხული კი პირდაპირ არის კითხვა-პასუხის ფორმით აგებული: „მაი ლამაზი ფაჩუჩები ვინ მოგიტანაო?“ – „ჩემმა ძიამ, ჩემმა კარგმა, მან მომიტანაო“ „მაი ლამაზი ჩითის კაბა ვინ მოგიტანაო?“ – „ჩემმა ძიამ, ჩემმა კარგმა, მან მომიტანაო“ და ა.შ., თანაც შეკითხვაში, როგორც ამას ენა მოითხოვს, ინტონაცია ბოლოში ზევით ადის, პასუხი კი ბოლოში ძირს ეშვება.

შიმპანზეების ვოკალიზაციებიც საინტერესოა შეკითხვების წარმოშობის ისტორიის გასარკვევად: ჯეინ გუდოლი წერდა სპეციალურ ხმებზე, რომელსაც შიმპანზეები გამოსცემენ, როცა ისინი მარტო არიან და უნდათ გაიგონ, სხვები სად არიან: ეს არის შეძახილების სერია, რომელიც თანდათან ჩქარდება და ტონალობითაც ზევით იწევს (როგორც შეკითხვის ინტონაციაში). ალბათ ადამიანური შეკითხვა ამ შეძახილთანაც არის დაკავშირებული (თუმცა შიმპანზეები ვერ მივიდნენ შეკითხვის განვითარებამდე).

ძალიან საინტერესო საკითხებია...

*საუკეთესო სურვილებით,
იოსებ ჟორდანი*

Correspondence on the Evolution of Social Behavior of *Homo* and After

In the wake of a review of the Georgian sociologist's, Gigi Tevzadze's book *Evolution of Social Behavior of Homo and After* (2013) by Joseph Jordania, an Australian/Georgian evolutionary musicologist, an interesting scholarly email discussion took place between Tevzadze and Jordania. The editors of this journal suggested the publication of the correspondence between the two scholars, as the discussion touched upon various important topics of human evolution, and new viewpoints were expressed. Among other topics, the scholars discussed in their letters the cultural traditions of Neanderthals, burial traditions in human prehistory, animal therapy, the origins of human intelligence, models of human evolution, and sexual and family life in hominid ancestors.